ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თურქეთის მელიქ შაჰის უნივერსიტეტის მხარდაჭერით, გიწვევთ II ერთობლივ საერთაშორისო სტუდენტურ კონფერენციაზე

“შავი ზღვის აუზი პრობლემები და პერსპექტივები”

კონფერენციის თარიღი	**2013 წლის 10-11 მაისი**
კონფერენციის ადგილი	**შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო**
ხელმძღვანელები	**პროფ. ფარუქ გურსოი, პროფ. ია ხუბაშვილი**
მონაწილეობის ფორმა	**სამეცნიერო ნაშრომის გამოგზავნა კონფერენციის ელ-ფოსტაზე შესაბამის ვადაში და ნაშრომის ზეპირი პრეზენტაცია PowerPoint-ით კონფერენციაზე**
სამუშაო ენა	**ინგლისური**

კონფერენციის კონცეფცია:

შავი ზღვის აუზი მუდმივად მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია, როგორც მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე სტრატეგიულად მნიშვნელოვანი და დინამიურად

განვითარებადი რეგიონი. საუკუნეების განმავლობაში, აღნიშნულ ტერიტორიაზე მიმდინარე მოვლენები, რეგიონის ქვეყნების ურთიერთდამოკიდებულება და მათი მიმართება მეზობელ ქვეყნებთან მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა მსოფლიო პროცესებზე. აღნიშნული რეგიონის მნიშვნელობა კიდევ უფრო გამოიკვეთა ბოლო ათწლეულების განმავლობასში შავი ზღვის, როგორც ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი დერეფნის, როლის ზრდასთან ერთად. გამომდინარე აქედან, მნიშვნელოვანია აღნიშნული რეგიონის პოტენციალის შესწავლა და პერსპექტივების ანალიზი.

დღესდღეობით, რეგიონი მრავალი მნიშვნელოვანი და განსხვავებული სამართლებრივი, ეკონომიკური, ეკოლოგიური თუ სხვა პრობლემის წინაშე დგას, რაც აუცილებელ გამოკვლევას საჭიროებს. მნიშვნელოვანია, როგორც რეგიონის წევრი თითოეული ქვეყნის, ასევე რეგიონის საერთო ინტერესების გაანალიზება და ერთიანი სამოქმედო კონცეფციის დასახვა რეგიონში სტაბილურობის შენარჩუნებისა და როგორც რეგიონის განვითარების, ასევე მსოფლიოს ქვეყნებთან ურთიერთთანამშრომლობის გაუმჯობესების მიზნით.

აღნიშნული საკითხით დაინტერესებული თანამედროვე სპეციალისტების შრომასთან ერთად მნიშვნელოვანია მომავალი თაობის აქტიურობაც და ამ თაობის წარმომადგენელთა დაახლოვება თანამშრომლობის გაღრმავებისთვის.

კონფერენციის მიზანია, ერთმანეთს დააკავშიროს რეგიონისა და რეგიონით დაინტერესებული ქვეყნების სტუდენტები, მოახდინოს აზრთა და ხედვათა ურთიერთგაცვლა, გამოკვეთოს მომავალი თაობის ხედვა რეგიონში არსებულ პრობლემებთან და მათი გადაჭრის გზებთან მიმართებით, ასევე რეგიონის ქვეყნებისა და მეზობელი ქვეყნების ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივებთან დაკავშირებით. აღნიშნული ხელს შეუწყობს მომავალი თაობის დაახლოვებას და შესაბამისად, რეგიონში თანამშრომლობის გაღრმავებას, რაც საერთო პრობლემებთან ეფექტურად ბრძოლისა და განვითარების აუცილებელი საწინდარია.

მნიშვნელოვანი თარიღები:

ნაშრომების გამოგზავნის ბოლო ვადა: **2013 წლის 15 მარტი**
დაგვიანებული ნაშრომების გამოგზავნის ბოლო ვადა: **2013 წლის 12 აპრილი**

კონფერენციის მონაწილეებმა უნდა გამოგზავნონ ნაშრომები და მათი მოკლე ანოტაცია (აბსტრაქტი) ინგლისურ ენაზე ხელმძღვანელის რეკომენდაციასთა ერთად კონფერენციის ელ-ფოსტაზე: **isc@ibsu.edu.ge**

ნაშრომს უნდა ყავდეს მხოლოდ ერთი ავტორი. ჯგუფური ნამუშევრები არ მიიღება.

ნაშრომის ტექნიკურ და შინაარსობრივ მხარეს განიხილავს მასპინძელი უნივერსიტეტების პროფესორთაგან შემდგარი კომისია.

ნაშრომისადმი წაყენებული მოთხოვნები:

- გვერდების რაოდენობა მაქსიმუმ 12 (თავფურცლისა და ბიბლიოგრაფიის ჩათვლით)

- Times New Roman (სათაური – 16, თავების სათაურები – 14, ტექსტი და ბიბლიოგრაფია – 12, სქოლიო – 10)
- სივრცე ხაზებს შორის – 1.5
- ჩარჩო - სტანდარტული
- ციტირება – APA სტილი
- თავფურცელი უნდა შეიცავდეს ა) ნაშრომის დასახელებას; ბ) ავტორის სახელს, გვარსა და კურსს; გ) ხელმძღვანელის სახელსა და ტიტულს; დ)იმ უნივერსიტეტისა და ქვეყნის დასახელებას, რომელსაც წარმოადგენს ავტორი
- ნაშრომის სათაური და შინაარსი უნდა პასუხობდეს კონფერენციის თემატიკას; სათაური უნდა იყოს მკაფიოდ ჩამოყალიბებული;
- ნაშრომს უნდა ქონდეს შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა

აბსტრაქტისადმი წაყენებული მოთხოვნები:
- ტექნიკური მოთხოვნები იგივე, რაც ნაშრომის შემთხვევაში
- მაქსიმუმ 300 სიტყვა

PowerPoint პრეზენტაციისადმი წაყენებული მოთხოვნები:
- სატიტულო გვერდი უნდა შეიცავდეს ნაშრომის თავფურცლის ანალოგიურ ინფორმაციას
- სლაიდების მაქსიმალური რაოდენობაა 10 (სატიტულო გვერდის გამოკლებით).
- ინფორმაცია სლაიდებზე ჩამოყალიბებული უნდა იყოს გასაგებად და შეესაბამებოდეს მონაწილის მიერ წარმოდგენილ ნაშრომში არსებულ ინფორმაციას.

აბსტრაქტები, ნაშრომები და სარეკომენდაციო წერილები ითვლება მიღებულად, თუ ისინი გამოგზავნილია კონფერენციის ელ-ფოსტაზე isc@ibsu.edu.ge საამისოდ დადგენილ ვადებში.

კონფერენციაში მონაწილეობა მოიცავს:
- **კონფერენციის სესიებზე დასწრებასა და მონაწილეობას;**
- **კონფერენციის გახსნისა და დახურვის ღონისძიებებში მონაწილეობას;**
- **ლანჩს და ყავით გამასპინძლებას კონფერენციის შესვენებებზე;**
- **კონფერენციის დაჯილდოების ცერემონიის ლანჩზე დასწრებას;**
- **ექსკურსიას თბილისში;**
- **მონაწილეთათვის საერთაშორისო სერტიფიკატს;**
- **კონფერენციის კრებულისა და სხვა მასალების გადაცემას;**

საერთაშორისო სტუდენტებისათვის: კონფერენციის ორგანიზატორები ფარავენ ყველა ხარჯს გარდა საგარეო მგზავრობისა (მგზავრობა თბილისამდე და უკან). აღნიშნული საფასურის გადახდა ეკისრებათ თავად საერთაშორისო მონაწილეებს.

მონაწილეთა სია და ნაშრომთა მოკლე ანოტაციები დაიბეჭდება კონფერენციის ბროშურაში. გამორჩეული ნაშრომები დაიბეჭდება სპეციალურ საკონფერენციო ნაშრომთა კრებულში.

შენიშვნა: შრომათა კრებულში დასაბეჭდად განიხილება მხოლოდ 2013 წლის 15 მარტამდე მიღებული ნაშრომები. 2013 წლის 16 მარტიდან 12 აპრილამდე გამოგზავნის შემთხვევაში დაიბეჭდება მხოლოდ ანოტაციები (აბსტრაქტები). 12 აპრილის შემდეგ მიღებული ნაშრომები კონფერენციაზე არ დაიშვება.

შეკითხვებისა და დამატებითი ინფორმაციის მიღების სურვილის შემთხვევაში შეგიძლიათ დაუკავშირდეთ კონფერენციის კოორდინატორს.

კოორდინატორი:
ლიანა ჯაფარიძე – (+99532) 2595005 (შიდა ნომერი 134), ljaparidze@ibsu.edu.ge